გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2020-2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

შუახევის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** ადგილობრივი ბიუჯეტის ინოვაციური პროგრამა:

,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება“ .

2. **თემატიკა:**

-მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

-ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური ფონის გაუმჯობესებაა.

იხილეთ პროგრამის შესახებ დამზადებული ვიდეორგოლი:
https://www.facebook.com/batumelebi/posts/1826857434180642

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია.

მუნიციპალური სერვისი ღია სივრცე საზოგადოებისათვის ,,ქალთა ოთახი“.

4. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

შუახევის მუნიციპალიტეტი — თვითმმართველი ერთეული საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში. შეიქმნა 1952 წელს ხულოს რაიონიდან გამოყოფილი ტერიტორიის ხარჯზე, 1963-1964 წწ. ისევ ხულოს რაიონშია, 1965 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. ამჟამად მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე დაახლოებით 195 კილომეტრია. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (6,3 კმ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (2,5 კმ), სამხრეთით თურქეთი (46 კმ), აღმოსავლეთით ხულოს მუნიციპალიტეტი (78 კმ), დასავლეთით ქედის მუნიციპალიტეტი (31,5 კმ) და ქობულეთის მუნიციპალიტეტი (29,5 კმ). შუახევის მუნიციპალიტეტის ფართობია — 588 კმ².

შუახევის მუნიციპალიტეტი არის მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მატარებელი.

მუნიციპალიტეტში 9 ადმინისტრაციული ერთეული 68 დასახლებული პუნქტია, აქედან 1 დაბა და 67 სოფელი და დასახლებული უბანი.

მოსახლეობის რაოდენობა: 15 044 ათასი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე აჭარისწყალის შუა მონაკვეთი. მას მარჯვნიდან ერთვის ჭვანისწყალი, მარცხნიდან ჩირუხისწყალი.

სოფლების უმეტესობა მდინარეების ხეობაშია განლაგებული. განსახლების ძირითადი ზონა ზღვის დონიდან 600-1600 მეტრის ფარგლებშია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზატკეცილი ,,ბათუმი-ახალციხე".

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

- **შიდა ფაქტორები**

-შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეების მზაობა და ძალისხმევა დიდა, განახორციელონ ინოვაციური პროექტები მოქალაქეთა ჩართულობის მდგრადი შედეგების მისაღწევად ადგილობრივ დონეზე და უზრუნველყონ გამჭირვალე და გაუმჯობესებული საზოგადოებრივი მომსახურება.

-შუახევის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტია თავისი გრძელვადიანი ხედვის, ერთგულებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის უწყვეტი მცდელობის.

-შუახევის მუნიციპალიტეტის მიზანია, **შექმნას გაუმჯობესებული ინკლუზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობა.** დამკვიდრდეს, როგორც ღია მთავრობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეების ჩართულობას, თითოეული მოქალაქის ცხოვრების ფონის გაუმჯობესებას.

-მერიაში მართვა ხორციელდება მერის მიერ მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით, რომლების უშუალოდ კურირებენ ცალკეულ სამსახურებს. ყველა სამსახური ანგარიშვალდებულია მერის წინაშე. ყოველ კვარტალში და ყოველწლიურად მათ მიერ მზადდება ანგარიშები მერისთვის წარსადგენად. შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას და ხორციელდება სხვადასხვა გზით. **კონტროლის ძირითადი მექანიზმებია** როგორც სახელმწიფო, ასევე შიდა აუდიტი. **სამუშაოს ხარისხს განკარგავს** „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი.

გარე ფაქტორები - გარე ფაქტორებს მიეკუთვნება მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით.

შუახევის მუნიციპალიტეტს აქვს ინოვაციური ინიციატივების განხორციელების გამოცდილება ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით. რომელიც, მიზნად ისახავდა გამჭვირვალობის განმტკიცებას, საზოგადოების ჩართულობას, მომსახურების ხარისხიან

მიწოდებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ჩვენს მმართველობაში დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა ჩართულობით განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები. ერთ-ერთი მიმდინარე პროექტია: „ქალების და ახალგაზრდების გაძლიერება შუახევის მუნიციპალიტეტში“, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“ ახორციელებს შუახევის მერიასთან თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა: პროგრამა: ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება“

დღეს ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, შუახევის მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში, ძალიან დაბალი იყო მოსახლეობის განსაკუთრებით ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის დონე, რაც აისახებოდა, მოსახლეობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული ჩართულობის მექანიზმების გამოუყენებლობაში.
გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ადგილობრივ დონეზე ქალების საზოგადოებრივი აქტიურობის ხარისხი და გენდერული თანასწორობა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში ქალთა ჩართულობას.

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის ამოცანა 3.1-ში „ადგილობრივ დონეზე მართვისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა“, აღნიშნულია, რომ რეფორმის დღის წესრიგი ღიაა ქალთა აქტიური მონაწილეობისათვის, როგორც არჩევით პოზიციებზე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მომხმარებლებს შორის. ანგარიშვალდებულების გაზრდა და ადგილობრივი სერვისის მონაწილეობის გაფართოების მიზნით, ქალებს უფრო მეტ სტიმულს და საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

ამასთანავე საქართველომ გამოთქვა მზაობა ჩაერთოს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში, რომლის მე-16.7 მიზანი გულისხმობს თანამონაწილეობით და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფას მმართველობის ყველა დონეზე, სადაც უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ყველა ჯგუფის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეს კი თავისთავად გულისხმობს ქალთა ჩართულობას და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

ყოველივე აქედან გამომდინარე შუახევის ადგილობრივმა თვითმართველობა არა მხოლოდ აჭარის რეგიონში, არამედ საქართველოს მაშტაბით პირველი მუნიციპალიტეტია, რომელმაც ადგილობრივი ბიუჯეტის ინოვაციური პროგრამა შეიმუშავა **,,სოფლად მცხოვრები ქალების-სოციალურ ეკონომიკური გაძლიერება“.**

აღნიშნულ პროგრამამ ხელი შეუწყო, გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარებას, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ზომების განხორციელებას.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებსა და ქალთა საინიციატივო ჯგუფებს მიეცათ შესაძლებლობა აქციონ თავიანთი იდეა რეალობად.

(პროგრამის განხორციელების ეტაპები, მიზანი და ამოცანები იხილეთ დანარში: პროგრამის სამოქმედო გეგმა).

მოკლედ ავღწერ მუნიციპალური სერვისის ,,ქალთა ოთახის“ საქმიანობას მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებების შესახებ, ,,ქალთა ოთახმა“ თავისი მუშაობის პერიოდში დაინახა ქალთა საჭიროებები, ერთ-ერთი კი ქალთა სოციალური ყოფის გაუმჯობესება იყო. სწორედ აქედან გამომდინარე შემუშავდა აღნიშნული პროგრამა.

,,ქალთა ოთახი“ მოსახლეობას, მოწყვლად და მარგინალურ ჯგუფებს აცნობს და აწვდის ინფორმაციას მუნიცპალიტეტში არსებული სოციალური, ჯანდაცვის თუ სხვა მიმართულებით არსებული პროგრამების შესახებ.

,,ქალთა ოთახის“ ინიციატივით ოცამდე საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრა იქნა ჩატარებული მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან.

(**იხილეთ დანართი:** გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კალენდარული გეგმა).

დღეს მუნიციპალიტეტში ,,ქალთა ოთახს“ გაცილებით მეტი ვიზიტორი ყავს, ვიზიტორთა უმეტესობა კი სოფლად მცხოვრები მარგინალური ქალები, შეზღუდული შესაზლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ.

მოსახლეობასთან ერთერთი შეხვედრის დროს ქალების მიერ დასმული იქნა კიდევ ერთი პრობლემური საკითხი მუნიციპალიტეტის სოფლებში საყოფაცხოვრებო ნაგვის შეგროვების და უტილიზაციის სისტემის არ არსებობა. ,,ქალთა ოთახი“ დაიწყო მუშაობა ამ პრობლემის მიმართულებით და **იაპონიის საელჩოს საგრანტო კონკურსის ადამიანის უსაფრთხოების პროექტის (GGP) გამარჯვებული გახდა.**

იხილეთ ლინკი:

https://www.facebook.com/media/set/?set=a.1096971077316909&type=3

იაპონიის საელჩო გამოთქვა მზადყოფნა და გრანტის სახით შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას გადასცა 68 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, რაც ითვალისწინებს სანდასუფთავების სერვისების გაუმჯობესებას მუნიციპალიტეტში. პროექტს კი ცალსახად სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია კერძოდ: 1. ეკონომიკა. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა სუსტად არის განვითარებული მისი პერსპექტივები დაკავშირებულია ეკოლოგიური და სამთო სათხილამურო ტურიზმის განვითარებასთან. ეს დარგები კი მაღალ ეკოლოგიურ სტანდარტებს მოითხოვს. 2. მოსახლეობის უსაფრთხოება. უკანონო ნაგავსაყრელები წარმოადგენს მნიშვნელოვან საშიშროების წყაროს ინფექციების გავრცელების მიმართულებით. ამ ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია სრულად აღმოფხვრის არსებულ რისკებს.

პროექტის ბიუჯეტით შეძენილი იქნება ნაგავმზიდი ავტომობილი და ნაგვის კონტეინერები

იხილეთ ლინკი:

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1513500708997275&id=109806702700023

,,ქალთა ოთახი“ ჩართულია ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გაიმართულ მოსახლეობასთან შეხვედრებში, სადაც ქალთა აქტიურ ჩართულობას უწყობს ხელს. ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები მოსახლეობის მიერ არის შერჩეული სადაც ქალების ინიცირებით მხარდაჭერილი იქნა ათობით პროექტი, რგორიცა წყლის მოწესრიგების სისტემა, გარე განათებების მონტაჟი, სკვერების მოწყობ და სხვა.

ასევე, ,,ქალთა ოთახის“ მიერ შემუშავებული იქნა პროექტი: ,,მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ფინანსური მხარდაჭერა“, შუახევის მუნიციპალიტეტში ამჟამად სულ 8 მარტოხელა მშობლის სტატუსსი მქონე პირია რეგისტრირებული, რომელთაგან ყველა ქალია, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და მათ შორის შუახევის მუნიციპალიტეტის მერია სოციალურ-ეკონომიკური დახმარების მიმართულებით გარკვეულ პროგრამებს ახორციელებს, დღის წესრიგში კვლავ რჩება ისეთი პრობლემები როგორიცაა, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა სოციალური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე პროექტი წარდგენილია და ბიუჯეტის ცვლილების დროს ველოდებით დაფინანსებას, პროექტის მიზანია 1.მარტოხელა მშობლის სტატუსი მქონე პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება, მხარდაჭერა საერთო სოციალური ფონის უკეთესობისკენ შეცვლა, 2.სტერეოტიპების აღმოფხვრა, საზოგადოება დღემდე სტერეოტიპულად უყურებს, უქმრო ქალს და უმამო ბავშვს, ხშირად ქალები

იძულებული არიან ფორმალურად მიუთითონ მამა, რომ საკუთარი შვილი საზოგადოების განკიცხვისგან, ბულინგისგან დაიცვან.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიტყვი, რომ განსაკუთრებით აღსანისანავია ,,ქალთა ოთახის“ როლი - ქალთა სოციალურ-ეკონიმიკური გაძლიერების მიმართულებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობებისა და ფინასურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიზნით ჩატარდა ბიზნეს იდებისა და ბიზნეს პროექტის წერის ტრენინგები, რამაც შემდგომში განაპირობა მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური აქტიურობა. დამწყები და მცირე მეწარმეობის განვითარებითა და თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესებულ 300-მდე მოქალაქეს გაეწია ბიზნეს კონსულტაცია, საიდანაც 80 ბიზნეს პროექტი უშუალოდ ქალთა ოთახიში დაიწერა სხვადასხვა საგრანტო თუ დონორ ორგანიზაციებთან წარსადგენად.

,,ქალთა ოთახის“ წარმატებული მიღწევა კი ადგილობრივი ბიუჯეტის ინოვაციური პროგრამა: ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება“

გამოწვევა - ქალთა მდგრადი ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში და მათი სოციალურ-ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი ადგილობრივ დონეზე ჯერჯერობით დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რაც იწვევს გენდერულ უთანასწორობას.

გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი შედეგი კი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაა.

ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ერთ-ერთი შესაძლებლობა კი ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებაა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის თანახმად საქართველოში ყოველი 7 ქალიდან 1 მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი.

- **წარსული გამოცდილება** როგორც ავღნიშნეთ შუახევის მერიაში შეიქმნა მუნიციპალური სერვისი ღია სივრცე საზოგადოებისთვის ,,ქალთა ოთახი“, რომელიც აქტიურად ატარებს ტრენინგ/სემინარებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად შემდეგ თემებზე: ქალთა შრომითი უფლებები, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა და მისი გამომწვევი მიზეზები, მეწარმეობა, ბიზნე იდეების პროექტების მომზადება და სხვა.

,,ქალთა ოთახის“ მუშაობის პერიოდში პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებები გამოიკვეთა კერძოდ: **ქალთა სოციალური ყოფის დაბალი მაჩვენებელი**, სწორედ ქალთა საჭიროებებიდან და მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, 2018 წელს მუნიციპალურმა სერვისმა ,,ქალთა ოთახმა“ დაინახა და დაიწყო მუშაობა ქალთა

სოციალურ- ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამაზე, რომელიც პირველად 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში იქნა ასახული.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - პროგრამა ,,ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება" ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში დამწყები, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას, მეტი ბიზნეს იდეის, მეწარმე ქალის და სამუშაო ადგილების გაჩენას, სოფლად დაწყებული მიგრაციის შეჩერებას, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებას და გაძლიერებას. თანაბარ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას, გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მმართველობას, მეტ კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას, ასევე ქალთა თანაბარი უფლებების და გაძლიერების მხარდაჭერას, რომელმაც ეფექტური შედეგი გამოიღო, პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე ადგილობრივი ბიუჯეტიდან სულ 7 ბიზნეს-იდეა იქნა დაფინანსებული.

იხილეთ ერთერთი დაფინანსებული ახალგაზრდა მეწარმე გოგოს შესახებ სიუჟეტი:
https://www.facebook.com/batumelebi/posts/1833861366813582

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **პროექტის შინაარსი;**

პროექტი გულისხმობს მცირე და დამწყები ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალების და ქალთა საინიციატივო ჯგუფებითვის, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ერთი პროექტი არა უმეტეს 5 000 ლარით იქნება დაფინანსებული, გამარჯვებული პირის თანამონაწილეობით.
პროექტის სრული ბიუჯეტი: 15 000 ლარი.
გამოცხადებული კონკურსის ლინკი:
https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=707823623960046&id=100041972446655

პროგრაის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, გააქტიურება, სოფლად მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობა, ქალები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი და თანაბარუფლებიანი წევრების განვითარების ხელშეწყობა, სტიმული, მოტივაცია და მაგალითი სხვა ქალებისთვის, რათა უფრო მეტად გააქტიურდნენ და მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მუნიციპალიტეტის მერიის მიზნობრივ პროგრამებში, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების და დონორების მიერ გამოცხადებულ პროექტებში თავიანთი იდეების განსახორციელებლად.

აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ მიზანი კი დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესებაა წარმოადგენს, რომლის მიმართულებით პირველი ქმედითი ნაბიჯები გადადგმულია არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თავისუფალ

ჟურნალისტთა სახლმა“ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მხარდაჭერით განახორციელა პროექტი ,,ქალების და ახალგაზრდების გაძლიერება შუახევის მუნიციპალიტეტში“ პროექტის ფარგლებში მონაწილე ქალებმა და ახალგაზრდებმა გაიარეს სასწავლო კურსი შემდეგ თემებზე: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიების და ფორმების, პეტიციის მომზადების და წარდგენის, ბიუჯეტირების პროცესი და პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის, საპროექტო იდეების და ბიზნეს-იდეების შემუშავება.

-განხორციელებული იქნა ქალთა საჭიროებების კვლევა და რომლის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი.

-პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა ოთხი პეტიცია, აქედან ორი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლე საბჭოში წარსადგენად, ორი კი შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. პეტიცია - **„აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების თაობაზე“,** უკვე წარდგენილია ელექტრონულად აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდის ვებ-ჩანართზე: https://chaerte.sca.ge/ge/petitions

პეტიციის მიზანია აჭარის მაშტაბით აღნიშნული პროგრამა ყველა მუნიციპაიტეტში, რომ დაინერგოს და განხორციელდეს **(იხილეთ დანართი:** პეტიცია აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოს, ლინკი: https://www.facebook.com/supremecouncil.ge/posts/332332738936719).

შემუშავებული პეტიციები:

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო);

2.აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის მოთხოვნის შესახებ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საჭო);

3.მოქალაქეთა ხელსაყრელი მობილობის უზრუნველყოფა შუახევის მუნიციპალიტეტში (შუახევის საკრებულო);

4. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით ახალი მიზნობრივი პროგრამის ან/და მხარდაჭერის მომსახურების განხორციელება (შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო).

იხილეთ პეტიციების შემუშავებასთან დაკავშირებული სიუჟეტის ლინკი:
https://www.facebook.com/batumelebi/posts/1834006586799060

ასევე, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლმა უზრუნველყო მერიის პროგრამის: ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებში დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები და მომზადდა ვიდერგოლი, რომელიც აჭარის რეგიონის სატელევიზიო ეთერების (TV 25, აჭარის ტელევიზია) სარეკლამო რგოლში იქნა გაშვებული, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ასევე, მოსახლეობაში გავრცელებული იქნა საინფორმაციო სახის ბროშურები.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების'' პროგრამის შესახებ დამზადებულ ვიდერგოლს https://www.facebook.com/batumelebi/posts/1826857434180642 მიენიჭა **უფასო სოციალური რეკლამის სტატუსი** და მოსახლეობის ინფორმაციის მიზნით განათავსებული იქნა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას ეთერში.

(**იხილეთ დანართი:** წერილი აჭარის ტელევიზიას).

მერისს პროგრამის ,,სოფლად მცხოვრები ქალების-სოციალურ ეკონომიკური გაძლიერების“ ფარგლებში **პროექტის წერა შესაძლებელია:** სოციალურ-საგანმანათლებლო, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის [აგრო-ტურიზმის, ეკო-ტურიზმის] და ინოვაციური იდეების მიმართულებით.

კერძოდ: მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, რძის წარმოება, ხილის, გარეული ხილის, სამკურნალო მცენარეების, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია. ხელნაკეთი ნივთების, კერვის, ქსოვის, ქარგვის ტრადიციების განვითარება, სასოფლო საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების საგნების, ნივთების დამზადება და სხვა მიმართულებით.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი

პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი. ფიზიკურ პირი რეგისტრირებული უნდა იყოს შუახევის მუნიციპალიტეტში.

კონკურსის ჩატარების ეტაპები

1. კონკურსის ჩატარების ეტაპების ვადებს, ოქმით, განსაზღვრავს სპეციალურად შექმნილი სამუშაო კომისია.
2. კონკურსი ჩატარდება შემდეგ ეტაპებად:

ა) ბიზნეს-იდეის წარდგენა/ შეფასება; ბ) ბიზნეს გეგმის წარდგენა/ შეფასება; გ) გასაუბრება; დ) ადგილზე ვიზიტი; ე) გამარჯვებულის გამოვლენა.

3. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება მიღებული ქულათა ჯამით.

4. ხელეშეკრულების გაფორმება გამარჯვებულ კონკურსანტებტან.

შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები

შერჩევის ობიექტური და არადისკრიმინაციული პროცესის უზრუნველსაყოფად, საპროექტო წინადადებებს განიხილავა შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილი სამუშაო კომისიის მიერ, რომელიც დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით.

განხილვის პროცესში, შესაძლოა, კომისიამ განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვოს, სამი სამუშაო დღის ვადაში.

საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად, კომისია შემდეგი კრიტერიუმებით

ხელმძღვანელობს:

ა) კონკურსის მიზნებთან, ამოცანებთან და პირობებთან შესაბამისობა; ბ) პროექტის დამაჯერებელი და ფაქტებით გამყარებული დასაბუთება; გ) პროექტის შედეგზე ორიენტირებული და შესრულებადი სამოქმედო გეგმის არსებობა; დ) მოსალოდნელი შედეგების მასშტაბი; ე) გენდერული ანალიზი, პროექტის აქტივობებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობის და პროექტის შედეგებზე მათი წვდომის დასასაბუთებლად; ვ) ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა; ზ) პროექტის შედეგების მდგრადობა.

გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს:

1. ბიზნეს იდეის, ბიზნეს-გეგმის პროექტი; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; 3.საბანკო რეკვიზიტები; 4. ცნობა, რომ არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება ან ანგარიშზე ყადაღა იმ ბანკიდან, საიდანაც წარმოადგენს ანგარიშის ნომერს; 5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გამარჯვების შემთხვევაში; 6. ქალთა ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში – ჯგუფის წევრთა თანხმობები, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით ან/და ხელმოწერილი კომისიის მდივნის თანდასწრებით.

აქტივობათა გეგმა/გრაფიკი

აქტივობების ჩამონათვალი
პროგრამის განსახორციელებლად სამუშაო კომისიის შექმნა, დებულების, სამოქმედო გეგმის, სამუშაო ფორმების: ბიზნეს-იდეის, ბიზნეს-გეგმის, ბიზნეს იდეის შეფასების, ბიზნეს გეგმის და გასაუბრების შეფასების, მონიტორინგის, შუალედური ანგარიშის ფორმების დამტკიცება.

პროგრამის ,,ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ ფარგლებში საინფორმაციო კამპანიის განხორციელება, ბროშურების გავრცელება ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, ვიდეორგოლის შექმნა, სხვადასხვა სოციალურ ქსელებში ინფორმაციის განთავსება, პრეზენტაციის მომზადება.
ტრენინგი თემაზე: ,,ბიზნეს პროექტების წერა და მისი მნიშვნელობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით“ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კვალიფიცირებული ტრენერის მოწვევა.
პირველი ეტაპი კონკურსის გამოცხადება, ქალთა და ქალთა საინიციატივო ჯგუფების მიერ ბიზნეს-იდეების წარდგენა, სამუშაო კომისიის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-იდეების შეფასება და მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტების გამოვლენა.
მეორე ეტაპი ბიზნეს-გეგმის წარდგენა, შეფასება და მესამე ეტაპზე გადასული კონკურსანტების გამოვლენა.
მესამე ეტაპი პროგრამაში მონაწილე კოკურსანტებთან გასაუბრება
მეოთხე ეტაპი ბიზნეს იდეის განხორციელების ადგილზე ვიზიტი
გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, ხელშეკრულების გაფორმება და დაფინანსება. ბენეფიციარის მიერ პროექტის (ბიზნეს-იდეის) სისრულეში მოყვანა, მონიტორინგი.
პროექტის შედეგების შესახებ საბოლოო პრეზენტაცია

პროგრამის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი რომლის

საფუძველზე დგება პროგრამა.

ადგილობრივი ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია; 2. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი;

3. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი; 4. შუახევის მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა.

საერთაშორისო ვალდებულებები და კონვენციები:

1 .გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ CEDAW (სიდო კონვენცია);

2. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება

[2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტით ხელისუფლებას, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მმართველობით რგოლში ქალთა როლის გაზრდას ავალდებულებს];

3. ევროსაბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (იგივე სტამბულის კონვენცია), რომლის რატიფიცირება, საქართველომ 2017 წელს მოახდინა.

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი**

-პროგრამის სამოქმედო გეგმა

-პროგრამის დებულება

-შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N06-442 09/08/2021 ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ.

-შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N06-118 12/03/2021 ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

-შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N06-111 05/03/2021 ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის დებულებისა და სამუშაო ფორმების დამტკიცების შესახებ.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების**

აღნიშნულ პროგრამის სამუშაო კომისიაში ჩართული არიან მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:

ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;

სამუშაო კომისია დაკომპლექტებულია როგორც მერიის, ასევე საკრებულოს და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებით.

ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

პროგრამა დაფინანსებულია შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

შუახევის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი და ფეისბუგ გვერდი.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

პროექტი განხორციელების პროცესში იხვეწება, არსებითი ხასიათის პრობლემები არ გამოვლენილა. სატესტო რეჟიმიდან პროექტი გადასულია სრულყოფის ფაზაში.

• ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;

პროგრამა ადგილობრივი თვითმმართველის და მერიაში არსებული ღია სივრცე საზოგადოებისთვის ,,ქალთა ოთახის“ მიერ იქნა შემუშავებული.

• სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;

პროექტის ერთ-ერთი მიზანი დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესებაა, რომლის მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“ საინფორმაციო კამპანიას უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში და ბიზნეს პროექტების მოზადების სწავლებაში დაეხმარება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებს.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

პროგრამის ამოქმედეიდან დღემდე სულ 7 ბიზნეს-იდეა იქნა დაფინანსებული, მუნიციპალიტეტში გაჩნდნენ მცირე მეწარმე ქალები, რომლებმაც წამოიწყეს საკუთარი საქმე.

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ერთის მხრივ გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი აღსანიშნავია მისი ეკონომიკური განზომილებაც.

დაფინანსებული იქნა შემდეგი სახის პროექტები: ჟოლოს ბაღის მოვლა შენახვისთვის სარწყავი-წვეთოვანი სისტების მოწყობილობა, ლაზერული ჭრისა და გრანვირების დანადგარის შეძენა ხელნაკეთი დეკორაციების, ორიგინალური და განსხვავებული ნივთების შესაქმნელად, წარმოებისა და სოფლად ტურიზმის განვითარების მიზნით, სოფელ ბრილში, თიხის სახელოსნოს ,,ბრილი - არტის“ მოწყობა, მცირე საოჯახო მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით ხილის საშრობი დანადგარის და მცირე ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის ინკუბატორის დანადგარის შეძენა, საოჯახო ტიპის სასტუმროს განვითარება და საკონდიტო საწარმოს გახსნა დაბა შუახევში.

იხილეთ ლინკი: https://www.facebook.com/102390925082360/posts/301107045210746/?app=fbl

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

პირველ რიგში მუნიციპალიტეტში უნდა შეიმუშავოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიული დოკუმენტი.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

სწორად შერჩეული სეგმეტი,
ხელმძღვანელი პირების ინტერესი და მხარდაჭერა,
არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა,
მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების დამოკიდებულება და მიდგომა.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ**

ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
მუნიციპალურ სერვის საკონსულტაციო, ღია სივრცე საზოგადოებისთვის ,,ქალთა ოთახს" აღნიშნული პროგრამით დაემატა მიმართულება: ქალთა სამეწარმეო/მცირე ბიზნეს საქმიანიბაში ჩართულობა.
ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
პროექტის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში გაჩნდა ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების, გააქტიურების, მხარდამჭერის მიზნობრივი პროგრამა.
გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
მოსახლეობის მზაობა და სურვილი დიდია აღნიშნული პროგრამასთან დაკავშირებით.
დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;
პროექტი გათვალისწინებულია 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, გაზრდილი თანხით.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**

პროგრამის სამუშაო შეფასების კომისიასი ჩართული არიან საკრებულოს წევრები.

- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**

საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღო გენდერულმა თანასწორობის საბჭომ, რომლის შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თანამშრომლებიც.

როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;

მხარდაჭერილია ყველა ფრაქციისა და საკრებულოს მთლიანი შემადგენლობის მიერ.

11. პრაქტიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

1. პროგრამის ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა, პროგრამის ბიუჯეტი 2022 წლისთვის გათვალისწინებულია 15 000 ლარი, ერთი ბენეფიციარის დაფინანსება კი 5 000 ლარამდე განისაზღვრება.
2. დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციებიებთან თანამშრომლობა, მათი დაინტერესება და ჩართულობა.
3. პროგრამის გამარჯვებული და დაფინანსებული იდეების ბენეფიციარებთან ტრენინგი თემაზე: მეწარმეობის როლი და მნიშვნელობა.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:**

თამილა ფუტკარაძე, ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული საკითხებში, ტელეფონი: 591 98 20 19, ელექტრონული ფოსტა: tamila.futkaradze2010@gmail.com

პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები:

1.რუსუდან შავაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ტელეფონი: 577 20 22 54, ელექტრონული ფოსტა:rusoruso1975@gmail.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

პროგრამა, დებულება.

ბ) პროექტის განხორციელების, სხდომების, ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი

1. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=707823623960046&id=100041972446655- **გამოცხადებული პროგრამის კონკურსის ლინკი.**
2. https://www.facebook.com/profile.php?id=100041972446655 - **შუახევის ქალთა ოთახის ფეისბუგ გვერდი.**
3. https://www.facebook.com/batumelebi/posts/1833861366813582 - **დაფინასებული ბენეფიციარის შესახებ სიუჟეტი.**
4. https://www.facebook.com/batumelebi/posts/1834006586799060 **პეტიციების შემუშავებასთან დაკავშირებული სიუჟეტი.**
5. https://www.facebook.com/batumelebi/posts/1826857434180642 **-პროგრამის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლი.**

6. https://www.facebook.com/102390925082360/posts/301107045210746/?app=fbl -ხელშეკრულების გაფორმება გამარჯვებულ ბენეფიციარებთან.
7. https://www.facebook.com/supremecouncil.ge/posts/332332738936719 - აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო (პეტიცია).